
№ 64 ივლისი - აგვისტო 2022 წელი

რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი

სალი ქთვარე

ჰაჯი და უმრა

სავალდებულო ღვთისმსახურებაა








წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველნო, მოგესალმებით მოწყალე და მწყალობელი უზენაესი ალლაჰის სახელით. უსაზღვრო ქება-დიდება უზენაეს ალლაჰს იმისთვის, რომ კიდე ერთხელ მოგვეცა საშუალება მოვსწრებოდით მსხვერპლშეწირვის - ყურბნის დღესასწაულს. გვსურს სულითა და გულით ყველას მოგილოცოთ მოახლოებული მსხვერპლშეწირვის დღესასწაული - ყურბან ბაირამი, რომელსაც მთელი ისლამური სამყარო მიმდინარე წლის 9,10 და 11 ივლის აღნიშნავს. გისურვებთ, რწმენის სიმტკიცეს, სულიერ სიმშვიდეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. ყველა ჩვენგანის უცვლელი მიზანი, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების დამსახურება და მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს.) სიყვარულით გულების გაჯერება.

ასეთი დღესასწაულები ერთმანეთისადმი განაწყენებული პიროვნებების შერიგების ძირითადი საშუალებაა. ეს დღეები ერთმანეთზე მოფერების, მეგობრობის განმტკიცების, ნათესავების მონახულების, პატარების გახარების, მათი დასაჩუქრების, მოხუცების გულის მოგებისა და ღარიბების დაპურების საუკეთესო დროა და შეწირული ყურბნის ხორცის გაზიარებაც ამის მთავარი საფუძველია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადღესასწაულო დღეებში, ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ სულიერ ძმობას. იმ გულწრფელ ძმობას, რომელიც არ მთავრდება ამქვეყნად და იგი საიქიოშიც სამარადისოდ გაგრძელდება. ჩვენი, როგორც ადამიანური, ასევე რელიგიური ვალია, დავეხმაროთ და გაჭირვების დროს გვერდში დავუდგეთ ოჯახის წევრს, სულიერ ძმას, მეზობელსა და ნათესავს. მათ მხარდაჭერა ვაგრძნობინოთ მაშინ, როცა ისინი საჭიროებენ სულიერ, მორალურ თუ მატერიალურ დახმარებას. თუ კი ყოველი ჩვენგანი გავაკეთებთ იმდენს, რამდენის ძალაც შეგვწევს, ეს საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ სიდუხჭირეში ჩავარდნილმა ოჯახმა ცხოვრების მინიმალური საშუალება მოიპოვოს. ასე გადავარჩენთ კიდევ ერთ სასოწარკვეთილ და შეიძლება ითქვას, იმედგაცრუებულ ოჯახს, რომელიც დაღუპვის ზღვარზე იმყოფება. სწორედ, ასეთ დროს ერთმანეთისადმი გამოჩენილი ყურადღება შექმნის იმის საფუძველს, რომ ურთიერთშორის გვქონდეს იმდენად მჭიდრო და კეთილი დამოკიდებულება, როგორსაც ისლამი გვასწავლის. ამასთან ერთად ვიყოთ ურთიერთმიმტევებელნი და გვიყვარდეს ერთმანეთი გამჩენის ხათრით.

ჩვენ, ღვთისმსახურებას ვასრულებთ იმ მიზნით, რომ სანაცვლოს, როგორც ამქვეყნად, ასევე საიქიოში დიადი გამჩენი მისი უსაზღვრო წყალობით გადაგვიხდის. ასე ვიქნებით მისი ის საყვარელი მსახურები, რომლებსაც საიქიო სამარადისო ნეტარებას ჰპირდება. კარგად ვიცით, რომ უზენაეს ალლაჰს უყვარს მორწმუნენი, მომთმენნი, ქველმოქმედნი, ხელგაშლილნი, ღვთისმსახური. აგრეთვე, არ უყვარს მჩაგვრელნი, მფლანგველნი, ურწმუნონი და ისინი, ვინც ზღვარგადასული არიან. ყოველი ადამიანის მიერ შესრულებულ ღვთისმსახურებას საფუძვლად თან ახლავს დიად გამჩენთან დაახლოების სურვილი და დიდი სიყვარული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლშეწირვა - ყურბანი, როგორც ლექსიკური მინშვნელობით, ასევე სულიერების თვალსაზრისით უზენაეს ალლაჰთან დაახლოებას ნიშნავს. მსხვერპლშეწირვა - ყურბანი მატერიალურ გაღებას მოითხოვს, მან ვნებას უნდა სძლიოს, რადგან ეს ღვთისმსახურება, ალლაჰთან დამაახლოებელი ყველაზე მნიშველოვანი საშუალებაა.



ჰაჯობა

დანიელ ბოლქვაძე

ისლამის რელიგიის მიმდევარნი ღვთისმსახურებას, უდიდესი ალლაჰის ნაბრძანები აიათებისა და მოციქულის ჰადისების მიხედვით ასრულებენ. ერთ-ერთი ასეთი ღვთისმსახურება ჰაჯობა და უმრაა. ყურანში ბაყარა სურას 2/196 აიათით ალლაჰი ბრძანებს: **„აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის...“** ხოლო მოციქული ერთ-ერთ ჰადისში: *„უმრა ადამიანს მის შესრულებამდე და შესრულების შემდეგ, ჩადენილი ცოდვების (პატარა ცოდვების) პატიების საბაბი გახდება, ხოლო ჰაჯი(რომელიც მიღებული იქნება ალლაჰის მხრიდან) ადამიანს სამოთხეს მოაპოვებინებს.“*

ჰაჯობა - დადასტურებას, შემოვლას (ზიარეთი), ქააბისკენ მიმართულების აღებას ნიშნავს. რელიგიურად ჰაჯობა - საშუალების მქონე მუსლიმის, განსაზღვრულ დროს მექაში - ქააბესთან, არაფატზე, მუზდელიფეში და მინას ტერიტორიებზე, აუცილებლად შესასრულებელი ღვთისმსახურებაა. ერთ-ერთი ჰადისით: *„არსებობს ჯიჰადი, რომელიც ომის გარეშე სრულდება, ეს ჰაჯობის ღვთისმსახურებაა“.*

ჰაჯობა - არის, არა სტუმრობა მექაში, არამედ უზარმაზარ საკლასო ოთახში მისვლა მორწმუნეთათვის, სადაც მან ყურადღება უნდა მიაქციოს და ის გზა უნდა შენიშნოს (მოძებნოს), რა გზაც ძვირფასმა ადამიანებმა ადამმა, ჰავამ, იბრაჰიმმა (ა.ს.), ჰაჯერმა, ისმაილმა, ისჰაყმა და მუჰამმედმმა (ს.ა.ს.) განვლეს. სულიერად მათი ცხოვრება უნდა დაინახოს, მათი სუნი უნდა შეიგრძნოს. არაფატზე - ადამივით უნდა დადგეს, მუზდელიფეში - უნდა დამშვიდდეს, მინაზე - სხეულის შიგნით თუ გარეთ მყოფ ეშმაკებთან საომრად უნდა მოემზადოს, ყურბნის დაკვლისას - იბრაჰიმისა და ისმაილის მსგავსად მოიქცეს. აი, ასეთი მგზავრობაა ჰაჯობის შესრულება, ამიტომაც განზრახვა ძალზედ მნიშვნელოვანია. წასვლამდე კარგად უნდა დაფიქრდეს ადამიანი, თუ რისთვის აკეთებს ჰაჯობას, ასევე ცოდნა უნდა მიიღოს ჰაჯობის შესასრულებლად, მცირეოდენი მაინც, რადგანაც შესრულებული ეს ღვთისმსახურება სრულყოფილი, ხარისხიანი გამოვიდეს.

ჰაჯობა ისეთი ღვთისმსახურებაა რომელიც ასწავლის ძმობის, ერთობისა და ერთიანობის, მოციქულთა და მიმდევართ შორის ყოფნას.

ჰაჯობა - ეს, ისეთი სკოლაა, სადაც ადამიანები თავიანთი სურვილით აღრიცხვაზე ადიან და უდიდესი ალლაჰის, მოცი-

ქულის, მშობლებისა და ალლაჰის გაჩენილთა წინაშე ზრდილობას სწავლობენ.

ჰაჯობა - მოთმინების თავმდაბლობის და მეგობრების სწორად შერჩევის შესწავლაა.

ჰაჯობის შესრულებისათვის მომზადებაა საჭირო, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. რა დროსაც სამ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადრება:

1. ცოდნა - ჰაჯობაზე შესასრულებელი რიტუალების დეტალურად შესწავლაა საჭირო;

2. სურვილი და განზრახვა - საკუთარ თავთან დიალოგით ბოლომდე დარწმუნება;

3. სიყვარული - ეს არ განიმარტება, ეს უნდა ნახოს ადამიანმა და სიყვარულით უნდა გააგრძელოს ცხოვრება.

ცოდნის მიღებისას შემდეგ შეკითხვებს აუცილებლად უნდა გავცეთ პასუხი:

ა) რა არის ჰაჯობა?

ბ) ტავაფი რატომ კეთდება?

გ) რატომ არის საფასა და მერვეს შორის შემოვლა (ათვლა) საჭირო?

დ) არაფატზე ასვლა რაზე მიგვანიშნებს?

ე) რატომ ვესვრით ქვებს შეითანს(ეშმაკს)? და სხვ.

ჩვენი ეს ღვთისმსახურება მიღებული რომ გახდეს, ამ შეკითხვების პასუხები უნდა ვიცოდეთ. ამასთანავე, უნდა შევეცადოთ და შემდეგნაირად მოვემზადოთ:

საკუთარი თავის წინაშე ანგარიშსწორება - დღემდე რა გავაკეთეთ? ახლა რას ვაკეთებთ? მომავლისათვის რა გვაქვს დაგეგმილი?

მონანიება - გადავხედავთ ჩვენს მეხსიერებას და შევეცდებით უდიდეს გამჩენს, ჩვენს მიერ გაკეთებული ან ვერ გაკეთებული საქმეების გამო;

ცოდნის გაღრმავება - ეს იმისათვის, რომ ჩვენი მიზანი უფრო სრულყოფილი გახდეს;

სიკეთეების კეთების მეტი სურვილი - ეს გრძნობა უნდა აღვძრათ საკუთარ თავში და უფრო მეტი გაჭირვებული ადამიანი უნდა მოვინახულოთ;

უნდა გავითავისოთ ერთი რამ, თუ ისეთი უნდა დავბრუნდეთ ჰაჯობიდან, როგორიც წასვლამდე ვიყავით, ჯობია - საერთოდ არ გავემგზავროთ. კიდევ ერთხელ ვკითხოთ საკუთარ თავს, თუ რატომ მივდივართ? იქ ჩვენ, მოციქულის, ებუ ბექირის, ომერის, ოსმანის, ალის, ჰატიჯეს, აიშეს და სხვა ძვირფასი ადამიანების გასახსენებლად და მათი ცხოვრებისაგან მაგალითის ასაღებად მივდივართ. იქ ისეთი ადგილებია, სადაც ყველა ნაბიჯზე ყურანის აიათები გარდმოევლინა ძვირფას მოციქულს, ამიტომაც ასეთი ადგილიდან ცარიელი თუ დაბრუნდა ადამიანი, არ ეპატიება მას. იქ, ადამიანს არ უნდა აინტერესებდეს სხვათა ქმედებები, ბაზრობები, უნდა ახსოვდეს, რომ იქ სხვის გამოსასწორებლად კი არა, საკუთარი თავის გამოსწორებისათვის მიდის. თუ დაბრუნების შემდეგ ჩვენი საუბრები შეეხება იქაურ სამლოცველოებს, იქაურ საჭმელებს... მაშინ ჩვენ იქ ღვთისმსახურებისთვის არ წავსულვართ, ამიტომ წასვლისას და იქ ყოფნის დროსაც, ჩვენი





განზრახვა წრფელი უნდა იყოს, რათა დაბრუნებისას ადამიანებზე სასაუბრო ისეთი რაღაცეები გვქონდეს, რომელიც საბაბი გახდება შემდგომში ამ ადამიანების სწორ და ჭეშმარიტ გზაზე მყარად დგომისა. როგორც ტურისტი, ისე არ უნდა ჩაგვეთვალოს მგზავრობა.

ჩვენ იქ წოდების მისაღებად არ მივდივართ, დავაკვირდეთ იქედან დაბრუნებულთა ზოგიერთი ქმედება, მათი ცხოვრება როგორ გრძელდება და მაგალითი ისე ავიღოთ მათგან. წასვლამდე ბევრი სავედრებელი სიტყვა შევისწავლოთ, ენა მივაჩვიოთ ვედრებას. იქ ჩასვლის შემდეგ ჩვენი ყველა ქმედება უნდა საუბრობდეს, როგორც უდიდეს ალლაჰთან შეხვედრას მოწყურებული ღვთისმოშიში, ღვთისნიერი, სათნო, მომთმენი და ყველაზე ლამაზი თვისებების მატარებელი ადამიანის ქმედება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჰაჯობა - დადასტურებას, შემოვლას (ზიარეთი), ქაბისკენ მიმართულების აღებას ნიშნავს. რელიგიურად ჰაჯობა - საშუალების მქონე მუსლიმის, განსაზღვრულ დროს მექაში - ქააბესთან, არაფატზე, მუზდელიფეში და მინას ტერიტორიებზე, აუცილებლად შესასრულებელი ღვთისმსახურებაა. რას გვასწავლის ეს რიტუალები?

მიპატიჟება

პირველ რიგში ის უნდა გავიგოთ, რომ მილიონობით ადამიანს შორის უდიდესმა ალლაჰმა ჩვენ აგვარჩია და მასთან მიგვიპატიჟა. იქ მიუპატიჟებლად ვერავინ მიდის. **„აუწყე ხალხს ჰაჯის შესახებ და მოვლენ ისინი შენთან ფეხით და ჩქარმავალი აქლემებით, ქვეყნის შორეული მხარეებიდანაც!“**
ჰაჯი-22/27

პირველი მიპატიჟება ალლაჰის ბრძანებით, იბრაჰიმს (ა.ს.) გაუკეთებია, ბოლოს კი მუჰამმედ (ს.ა.ს)-ის მხრიდან სამუდამოდ დამკვიდრებულა. მუსლიმები, რომლებიც საშუალებას ნახავენ და ჯანმრთელობაც ხელს შეუწყობს, სწორედ ისეთები არიან მიპატიჟებულნი მექაში ჰაჯობის შესასრულებლად.

მიქატი - საზღვრები

ეს უბრალო ადგილი არაა, ეს ალლაჰის მხრიდან შემოსაზღვრული ადგილია, ამით ალლაჰის ჩვენზე მოცემული უსაზღვრო თავისუფლების ფასი უნდა გავიგოთ, რწმენის სიამეები უნდა შევიგრძნოთ;

მიქატი - ეს, ის საბოლოო პუნქტია, სადაც ალლაჰთან შეხვედრას ვგეგმავთ;

მიქატი - ამ ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ, უკვე განზრახვა გაკეთებულია და მილიონობით ადამიანს შორის მარათონში ჩართვაა, ეს კი ყველას არ ერგება წილად, ამის მიხვედრაა საჭირო.

თელბიე

თელბიე ჰგავს სალაშქროდ გამზადებულ, კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცს, რომელიც უფროსისაგან ბრძანებას ელოდება.

ჰაჯი, რომელიც იჰრამს ჩაიცვამს: **„ჩემო ალლაჰო, მიბრძანე მზად ვარ შესასრულებლად“ - „მე მოვედი, გავიგე შენი ბრძანება, მივიღე მოპატიჟება, აქ ვარ შენს წინაშე ღმერთო“**, ამ სიტყვებს წარმოთქვამს და გრძნობს ალლაჰის სიახლოვეს. ის, ასევე უნდა გრძნობდეს, რომ მას არავინ არ ჰყავს

ალლაჰის გარდა. იჰრამის ჩაცმა, სუდარის ჩაცმის სიმბოლოა. სუდარის ჩაცმის შემდეგ ადამიანის პატრონი, მხოლოდ ალლაჰია ეს უნდა გავიგოთ და იქედან დაბრუნების შემდეგ, ისე უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება, რა შემართებითაც იქ თელბიეს კითხვისას ვიყავით განწყობილი. მსოფლიოს ყველა კუთხიდან წასული ადამიანები, თელბიეს, როგორც პაროლი, ისე იმეორებენ და მზად არიან ბრძანებების შესასრულებლად. ისინი, ასევე მზად უნდა იყვნენ დაბრუნების შემდეგ ხმამაღლა წარმოთქვან სიტყვები: „ბრძანე ღმერთო, მზად ვართ“.

იჰრამი

იჰრამი - ეს, ის სიმბოლოა, როცა ადამიანი თავის თანამდებობას, შესაძლებლობას, ქონებას და სხვა ნებისმიერ რამეს, რასაც ამქვეყნად ეყრდნობა, მოიცილებს და სუდარას ჩაიცვამს გამჩენთან შესახვედრად. ჰაჯობის ღვთისმსახურების შესასრულებლად წამსვლელები, მიუხედავად მათი ყველანაირი მდგომარეობის, კულტურის, კანის ფერის, ხასიათის, ფიზიკური მონაცემებისა, ამ ყველაფერს მოიცილებენ და ყველა სიმბოლურად ერთნაირად შეიმოსება და ალლაჰის წინაშე ყველა ერთნაირი იქნება. იქ ყველა ერთმანეთის ტოლია. იქ ადამიანები, მხოლოდ თავიანთი ადამიანობით შეფასდებიან, მათ ვერაფერი დაეხმარება, გარდა მათი სიწმინდისა, გარდა მათი ღვთისმოშიშობისა და ღვთისნიერებისა.

იჰრამი - ეს იგივე სუდარაა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ერთი მოსიარულეა, რომელსაც ჰაჯობისას იცვამენ ადამიანები, ხოლო მეორე მიცვალებულის სუდარაა, მიცვალებულს ამას აცვამენ სხვები.

იჰრამი - განკითხვის დღის ინსცენირების საკუთარ თავზე ჩვენებაა, ადამიანი სულის სიღრმეში უნდა გრძნობდეს, რომ არავითარი აზრი არა აქვს ვინმეს წყენინებას ამქვეყნიური საქმეების გამო.

იჰრამი - სანამ მექაში წავალთ, ჩვენს ირგვლივ მყოფებთან რანაირი ცუდი ურთიერთობაც არ უნდა გვქონდეს, უნდა შევცვალოთ, ჩვენც უნდა შევიცვალოთ და მოვიცილოთ ყოველგვარი ბოროტებასთან მიახლოებული ცუდი ზრახვებიც და როგორც იჰრამით, ასეთნაირად უნდა შევიმოსოთ სიკეთეების საკეთებლად. იჰრამის ჩაცმით იწყება აკრძალვები, ეს კი აძლიერებს ადამიანს.

ქააბე

ქააბე - ადამიანთათვის ფეხზე დგომის ადგილია, ფეხზე წამოდგომაა, გაცოცხლებაა.

ქააბე - **„უეჭველად, სამყაროსა და მის ბარაქად და ჭეშმარიტ გზაზე დასადგინებლად უპირველესი სახლია (სამლოცველო) სწორედ, რომელიც ბექაში (მექაში), აღმართულია ხალხთათვის.“** ალი-იმრანი 3/96. წმინდა ყურანის ამ აიათით ცნობილია, რომ ქააბე პირველი ღვთისმსახურების ადგილია... ალლაჰის ყველაზე ძვირფასი ამანათია, 5 დროის სალოცავად აღებული მიმართულების ცენტრია,... მინიშნებაა მიმართულების სწორად აღებისა.

ქააბე - ყურანში 2-ჯერაა მოხსენიებული: **„...თქვენგან ორმა მართალმა კაცმა განსაჯოს ეს საქმე და შერჩეული საქონელი გაიგზავნოს ქააბასთან...“** სურა მაიდე 5/95

„ალლაჰმა ქააბა, სახლი ნაკრძალი (წმინდა), თვე ნაკრძალი, და შესაწირი ცხოველი და აქლემები სამკაულებშებმული ადამიანთა არსებობისთვის დაადგინა...“ სურა მაიდე 5/9

ქააბე და ტავაფი

ძვირფასი ადამისა და ევას სამოთხიდან გამოსვლის შემდეგ, მოსაზრებათა მიხედვით, ადამი სერენდიბიდან, ხოლო ევა ჯიდდე(ნინე)-დან, ერთმანეთის შესახვედრად გამოემართნენ და არაფატზე შეხვდნენ ერთმანეთს.

სურა ბაყარას 127-ე აიათით **„და როცა იბრაჰიმი ამაღლებდა სახლის საძირკველს ისმაილთან ერთად, (ევედრებოდნენ): ღმერთო ჩვენო! მიიღე ჩვენგან, რამეთუ შენ ხარ, უეჭველად, ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე!“** - ცნობილია, რომ ძვირფას იბრაჰიმს უნახავს ანგელოზები, რომლებიც ალლაჰს ასე ევედრებოდნენ:

„სუბჰანალლაჰი ველჰამდულილლაჰი, ველაა ილააჰე ილლალლაჰუ ველლააჰუექბერ“-ანგელოზთა სიტყვები;

„ველაა ჰავლე, ველაა ყუვვეთე, ილლაა ბილლაააჰ“ - ადამის სიტყვები:

„ელ ღალიიილ ღაზიიმ“ - იბრაჰიმის სიტყვები.

როცა ჰაჯები ქააბეს ესალმებიან, „ბისმილლაჰი ელლაჰუექბერ“-ის თქმის შემდეგ, ამ სიტყვებით ადიდებენ ალლაჰს.

ქააბეს 7-ჯერ შემოვლისას სულ ამ სიტყვებს კითხულობენ ადამიანები, ეს სიტყვები უდიდესი ალლაჰის ძლიერებას გამოხატავს.

ქააბე - მრწმუნეთა სიმბოლოა, მუსლიმთა გამაერთიანებელი სამშობლოა.

ყიბლე - სიმტკიცეა აღებული მიმართულებისაკენ, განათლებაა, კულტურაა. მუსლიმების ყიბლისაკენ მყარად დგომა, ისლამის გზაზე მყარად დგომის სიმბოლოა, რომელიც ისლამის ძლიერებას და სრულყოფილებას აღნიშნავს. ქააბესთან შემოვლა უდიდესი ალლაჰის პატივისცემაა, მის სახლში, მასთან შეხვედრის სიმბოლოა.

ქააბე - სიყვარულის ცენტრია, მილიონობით ადამიანი მიდის იქ, სადაც ალლაჰის სიყვარულის უდიდეს მუხტს იღებს, ვალდებულია ყველა იქიდან დაბრუნების შემდეგაც, ეს მუხტი შეინარჩუნოს სიცოცხლის ბოლომდე.

ჰიჯრი-ისმაილი

ჰიჯრი-ისმაილი - ეს, ის ადგილია სადაც ძვირფასი ისმაილი სიცხემ ძალიან შეაწუხა და ალლაჰს თხოვნით მიმართა, თხოვნა აუსრულდა. დღესაც, კი იმ ადგილას ყველა გამვლელი სიგრილეს გრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ იქ არანაირი გამაგრილებელი საშუალება არ დგას. ამიტომ, ეს თავაზიანობის ადგილად ითვლება.

მულთეზემი

მულთეზემი - ამ ადგილას, ძვირფასი მოციქული ქააბეზე შეხებით, მასზე მიკვრით ვედრებას ასრულებდა. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ვედრება, მხოლოდ ალლაჰის წინაშე, მის კართან მისვლით, მასზე სრულად მინდობით უნდა გაკეთდეს. როგორც დედა შვილს ჩაიკრავს გულში - ქააბეს კარს, ზღურბლს ან საბურველს, ისე უნდა ჩავეკრათ და შევევედროთ ცოდვებისაგან გასათავისუფლებლად.

„ცოდვებისაგან პატიების სათხოვნელად სხვაგან ვერ მივდივარ, შენს კართან მოვედი, ძალიან ბევრი ცოდვა ჩავიდინე დაუფიქრებლად, შენ კი - გამჩენო უსაზღვრო წყალობის პატრონი ხარ! ღმერთო დიდებულო, ჩემო ალლაჰო, სანამ არ მაპატიებ აქაურობას ვერ მოვშორდები“, ტირილით ასე უნდა შევევედროთ.

თუ არ გვეტირება, იმაზე უნდა ვიტიროთ, ნეტავი რატომ არ გვეტირება.

მაყამი იბრაჰიმი

მაყამი იბრაჰიმი - ეს, ის ადგილია სადაც ჯერ კიდევ იბრაჰიმ (ა.ს.)-ის ნაკვალევი ატყვია. ეს სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ თუ ქააბეს ააშენებ, ადამიანებს მუდამ ემახსოვრები, შენებისას მყარ ადგილას უნდა დადო ფეხი, როგორც იბრაჰიმმა. ჰაჯობაზე წასული მუსლიმიც, ხელახლა საკუთარი გულის მშენებლობას იწყებს, ამიტომ მასაც უნდა ახსოვდეს, თუ რა გზებით უნდა იაროს და როგორი მყარი საფუძველი უნდა ჰქონდეს მშენებლობის დაწყებას, რომ შენობა იყოს მყარი და ძლიერი.

ტავაფი

ტავაფი - ქააბეს შენობაზე შემოვლაა. ეს შემოვლა, ამ უზარმაზარ სამყაროში კანონზომიერებაზე ფეხის აწყობას ნიშნავს, თუ გინდა, რომ არ იყო მივიწყებული, მუდამ მოქმედებაში უნდა იყო, როგორც ტავაფის შესრულებისას.

შემოვლის დროს ქააბას მარცხნიდან ვუახლოვდებით, ასე ადამიანის გული, ალლაჰის სახლს შეხვდება. გულით შესრულებული ღვთისმსახურება უდიდესი ალლაჰის წინაშე მიღებულია, გამჩენი - ადამიანთა გულს უყურებს და არა სხეულს. შემოვლა და მის ირგვლივ ტრიალი კი, მასზე დამოკიდებულებას ნიშნავს, ამიტომაც ეს მიახლოებები გულით უნდა ხდებოდეს.

ტავაფი - ეს, ისეთი ღვთისმსახურებაა, როცა ადამიანები ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ, მათ შორის განსხვავებები არ არსებობს, ყველა ერთნაირია. 7-ჯერ გაუჩერებლად შემოვლა კი მიგვანიშნებს კვირის 7 დღეზე, სადაც უფლება არ გვაქვს უმოქმედოთ დავრჩეთ. როგორც სამყაროში ყველაფერი გაუჩერებლად ბრუნავს, ჩვენც გაუჩერებლად ვაკეთებთ შემოვლას. სამყაროში არსებული ეს კანონზომიერება არ იცვლება არასოდეს, ჩვენი მოქმედებაც ამას უნდა დავამსგავსოთ და არ უნდა გავჩერდეთ, მუდამ გვახსოვდეს ჩვენი გამჩენი, გაუჩერებლად ვადიდოთ იგი და ასევე შევევედროთ მას, ჩვენი გადარჩენისათვის.

რემელი და იზდიბა

იზდიბა - საჭიროების შემთხვევაში რწმენისთვის ყველაფრის თავისუფლად გაღება, უარმყოფელთა წინააღმდეგ სიმკაცრე რომ აუცილებელია, ამის მიხვედრაა მუსლიმთა მხრიდან.

რემელი - გვასწავლის სად და როგორ უნდა იდგეს მუსლიმი, როგორ უნდა იმოძრაოს. მყარად უნდა იდგეს და სხვას პრობლემებს არ უნდა უქმნიდეს. **„მუჰამმედი, შუამავალი ალლაჰის. ხოლო მასთან ერთად რომელნიც არიან მკაცრნი ურწმუნონის წინაშე და მოწყალენი ერთმანეთთან მიმართებაში, მათ დაინახავ რუქუღის და სეჯდეს აღმსრულებლებად, რომელნიც ალლაჰისგან მადლსა და წყალობას მიელტვიან. მათი ნიშნები მათ სახეებზეა, როგორც ნაკვალევი სეჯდისა.“** სურა ფეთიჰ - 48/29

ურწმუნოები სულ იყურებოდნენ და ემზადებოდნენ დასაცინად, როცა მუსლიმები შემოვლებს აკეთებდნენ, ისინი ელოდებოდნენ, თუ როდის დაეცემოდა მათგან რომელიმე. მიუხედავად ამისა, მოციქული პირველ სამ შემოვლას, სწრაფი ნაბიჯებით აკეთებდა, რითაც ურწმუნოებს ახვედრებდა, რომ ის ალლაჰის გზაზე არასოდეს დაიღლებოდა. ჩვენც მაგალითი მისგან უნდა ავიღოთ. აი, ამის სიმბოლოა რემელი და იზდიბა.



ჰაჯერულ ესვედი

ჰაჯერულ ესვედი - დედამიწაზე უდიდესი ალლაჰის მხრიდან დადებულ კამერის მსგავსად აღიქმება, მას ჰაჯები უახლოვდებიან, მისკენ ხელისგულებს შლიან, ესალმებიან და ეუბნებიან - „მე მოვედი“, თითქოს ამით ისინი ცდილობენ კადრში მოხვედრას. მისკენ მიმართული ხელისგულები ჩიპებს ჰგავს, ჰაჯერულ ესვედი კი თითქოს მათი მკითხველია, მასთან მისვლა - სულების გაჩენისას, გამჩენზე მიცემული აღთქმის განახლებას ნიშნავს.

ჰაჯერულ ესვედი - ჰაჯებს ახსენებს ძვირფას ადამიანებს ადამს, იბრაჰიმს, მუჰამმედს და მათ სუნნეთებს. ძვირფასი ომერი ამ ქვაზე ამბობდა: *„მე, რომ მოციქული მუჰამმედი არ მენახა, შენ რომ გკოცნიდა, ჩემთვის ჩვეულებრივი შავი ქვა იქნებოდი“*-ო.

საფასა და მერვეს შორის ათვლა

ათვლა - საფასა და მერვეს შორის გაუჩერებლად მოძრაობაა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ უმოძრაობითა და ლოდინით არაფერი გამოვა, უნდა იმოძრაოს ადამიანმა და შედეგს ამის შემდეგ უნდა ელოდოს.



ჰარველე - ძვირფასი ჰაჯერის როლის მორგებაა (ის სწრაფად დადიოდა 2 მთას შორის) და ამასთან ერთად გააზრებაა საჭირო, თუ რატომ მიანიჭა უდიდესმა ალლაჰმა, ამ უბრალო, შავ მოახლეს ამდენად მაღალი წოდება.

ათვლა - გაუჩერებლად მოძრაობაა სწორი ღვთისმსახურებისათვის, ასევე დედობრივი სიყვარული და შვილისთვის გაწეული ჯაფაა. ძვირფასი ისმაილისნაირი შვილების გაზრდაა, ჩვენი და სხვათა შვილების გადარჩენაა, ალლაჰის წყალობის მისაღწევად დაუღალავი შრომოს ნიმუშია. უნდა მივხვდეთ, რომ შრომის გარეშე რაღაცეების მიღების იმედი არ უნდა გვქონდეს.

ზემზემი

ზემზემი - გაცნობიერებაა იმ შრომის შედეგის, რომელიც ძვირფას ჰაჯერს წყალობად მისცა უდიდესმა ალლაჰმა უდაბნოში, ორ მთას შორის უკაცრიელ ადგილას მოჩუხჩუხე წყაროს სახით, სადაც ჩიტებიც კი არ დაფრინავდნენ. ღვთისმოშიში და ღვთისნიერი ადამიანების შრომაც ასე დაფასდება. ძვირფასი ისმაილი ფეხზე დადგა ზემზემის წყლის დალევით და ქააბეს აშენებით. უაღრესად დიდი საქმე გააკეთეს მამა-შვილმა, ჰაჯში წასულმა მორწმუნეებმაც, მათი კუჭი ზემზემის წყლით უნდა გაწმინდონ და ამით ძალიან დიდ საქმეს გაუკეთებენ საკუთარ თავს, სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე ჰარამი ლუკმისაგან უნდა დაიცვან თავი.

არაფატი

არაფატი - ეს საკუთარი თავის შეცნობის ადგილია, ალლაჰის წინაშე გაჩერების სიმბოლოა, სამყაროს შეცნობის ადგილია, სადაც შენს თავს კიდევ ერთხელ გადააფასებ, თუ რამდენად მზად ხარ ალლაჰის წინაშე გასაჩერებლად. *„საკუთარი თავის შემცნობი - ღმერთს შეიცნობს“*, ჩვენი მიზანიც ხომ ეს არის.

არაფატი - ცოდვათა აღიარებაა, ტირილითა და ცრემლებით ცოდვებისაგან განწმენდაა, ალლაჰზე მიცემული სიტყვების გახსენება და მომავალი ცხოვრების სწორად დაგეგმვაა.

არაფატი - უდიდესი ალლაჰის კარგად გაცნობაა, სამყაროს გაცნობა და მოვლენათა სწორად წაკითხვაა, ასევე შეკრების დღის ინსცენირებაა.

ვაქფე

ვაქფე - არაფატზე ფეხზე დგომის სიმბოლო და ერთ-ერთი აუცილებლად შესასრულებელი ღვთისმსახურებაა. რომელიც ყოველგვარი ბოროტების, რასიზმისა და პოლარიზების წინააღმდეგ მყარად დადგომას გვასწავლის. ძვირფასი მოციქულის

სიტყვების დადასტურებაა: „ყველანი ადამის შვილები ხართ, ადამი კი - მიწისგანაა“.

მუზდელიფე

მუზდელიფე - რწმენის გასაძლიერებლად, სწორი ფიქრით ანთებული ლამპარია, სწორი ფიქრი, ადამიანს ცოდნისაკენ მიიზიდავს, ცოდნის მიღება კი, ადამიანს გადაარჩენს ყოველგვარი გაჩენილი საფრთხეებისაგან. იქ ყოფნა, საკუთარი სულის ალლაჰის სიყვარულის გრძნობით გავსებას უნდა ემსახურებოდეს.

ჰაჯი - ქააბეში გულს ყოველგვარი საეჭვოსაგან გაწმინდავს, მუზდელიფეში სულიერად გაძლიერდება, მინაზე კი, მასში არსებულ ეშმაკს ჩაქოლავს და გაბრწყინდება.

მინა

მინა - ეს, ის ადგილია, სადაც მორწმუნე ეშმაკის ჩაქოლვით, მასთან ბრძოლის შემდეგ თავს გამარჯვებულად თვლის და ყველანაირად მოტივირებულია. ამ ადგილას, როგორც ძვირფასმა ადამიანებმა იბრაჰიმმა, ისმაილმა და ჰაჯერმა ეშმაკი მოიშორეს, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ჩვენში არსებული ეშმაკები უნდა ჩავქოლოთ. მინიმუმ 49 ქვა უნდა ვესროლოთ სიმბოლურად, სინამდვილეში ყველა თითოეული გასროლილი ქვა, ჩვენი სულიერებიდან ამოღებული თითო ბოროტება უნდა იყოს, რომელსაც სამუდამოდ მოვიშორებთ და იქ მინაზე უნდა დავტოვოთ.

ყურბანი

ყურბანი - გვასწავლის გაცემას, გაცემა სწორედაც იქედან უნდა შევძლოთ, რაც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. უდიდესმა ალლაჰმა ჩვენ უთვალავი განძი მოგვცა, ჩვენც მადლიერების გამოსახატავად გავცეთ და შევძლოთ მასთან დაახლოება.

ყურბანი - როცა იჰრამში ყოფნისას ბალახის დაგლეჯაც კი იკრძალება, ჰაჯებს ყურბნის დაკვლის ვალდებულება გააჩნიათ, რაც მათი მხრიდან ხელგაშლილობის სიმბოლოა. ყურბანი - ალლაჰზე მინდობას, თავაზიანობას, ერთმანეთის ატანას და ძმობას აღნიშნავს. ამ ღვთისმსახურებას ჰაჯები დიდი სიხარულით ასრულებენ, მიუხედავად იმისა, რომ არც მათ უწევთ აქედან ხორცის ჭამა, ის სრულიად უცნობ ღარიბ, საჭიროების მქონე ადამიანებთან მიდის.

თმის შეჭრა ან გაპარსვა

თმის შეჭრა ან გაპარსვა - როგორც ძვირფასი ისმაილი უსიტყვოდ დასთანხმდა მამას ყურბნად შეწირულიყო, ჰაჯებიც თმის შეჭრით ან გაპარსვით სიმბოლურად ემსგავსებიან მას. სამწუხაროდ ყველას ეს არ შეუძლია, თმა მათთვის უფრო ძვირფასია.

მესჯიდი ნებევი

ჰადისი: - *„ისწრაფეთ მხოლოდ სამი სამლოცველოსაკენ და არა სხვაგან: მესჯიდი ჰარამი, მესჯიდი აყსა და მესჯიდი ნებევისაკენ, რადგანაც იქ ნალოცი ნამაზები ბევრად(500-ჯერ, 1000-ჯერ) უფრო ძვირფასია სხვაგან ნალოც ნამაზებზე.“*

მესჯიდი ნებევი - ეს, ის ადგილია, საიდანაც ბევრი საჩუქრები უნდა წამოიღოს მორწმუნემ, როგორც მესჯიდი ჰარამიდან. რა არის ეს საჩუქრები?

ეს არის ძვირფასი ადამიანების ებუ ბექირის ხელგაშლილობა, ომერის სამართლიანობა, ოსმანის ზნეობა, ალის ვაჟკაცობა და ცოდნა, ჰამზას გამბედაობა, მუსაბ ბინ უმეირის ყველანაირ წოდებაზე უარის თქმა რწმენის გამო, ჰატიჯეს მეუღლის როლი, აიშესა და ფატიმას შემოსვა და ა.შ.

ძვირფასო მორწმუნეებო! მსურს, როგორც საკუთარ თავს, ასევე ყველას მოგმართოთ! ჰაჯის წოდების მიღებაზე უფრო, სრულყოფილი ჰაჯის სახით, ჰაჯის სახელით დარჩენა უფრო მნიშვნელოვანი და უფრო სასარგებლოა თითოეული ჩვენგანისათვის. ■

მოწყალება



უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„...ვინც მოწყალებას გასცემდა და ღვთისმოშიში იყო, და დაამოწმა ყველაზე მშვენიერით, მაშინ ჩვენც წარმატებულს ვქმნით მას იოლი გზით! და ვინც იძუნწებს (მიწიერით დაკმაყოფილდება) და თავისთავს საკმარისად ჩათვლის, და ცრუდ მიიჩნევს მშვენიერს, მას ადვილად მოვისვრით გზაზე, რომელიც სიძნელეებით არის სავსე.“

(სურა ლეილი, 92/5-10)

ადამ შანთაძე

საქართველოს მუფთი

მოწყალება ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომლის გარეშეც, შეიძლება ითქვას, მისი ცხოვრება ჭეშმარიტ აზრსა და დანიშნულებას კარგავს. მოწყალება არის ადამიანის ბუნებრივი გრძნობა, გამომდინარე მისივე კეთილი გულიდან, რომელიც უფრო მეტად არის განმტკიცებული და შესისხლხორცებული ადამიანში, თუ იგი ცხოვრობს სარწმუნოებრივად და ღვთისმოშიშებით. ამიტომ მორწმუნე ადამიანი მოწყალებას სხვათა დასანახად ან თვალშისაცემად არ უნდა გასცემდეს, რადგან ამით ეს სათნოება კარგავს თავის ჭეშმარიტ ხასიათსა და თვისებას. ადამიანს ფარულად გაკეთებული სიკეთე იცავს მედიდურობისგან, ქებისგან, რაც იწვევს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის შექმნას. ამას ამპარტავნებას უწოდებენ. მოწყალება ისე უნდა გავიღოთ, რომ დავიმსახუროთ გამჩენისა და ადამიანთა სიყვარული, რაც უანგაროდ კეთილის ქმნაში უნდა მდგომარეობდეს, სიკეთის სამაგიეროს ხომ ალლაჰი არ დაგვიკარგავს. სიკეთისა და მოწყალების გაღება ანგარების მიზნით, შეიძლება ითქვას, რომ დამღუპველია ადამიანისათვის, რადგან ყოველი გაკეთებული სიკეთის, გაღებული მოწყალების სანაცვლოდ ადამიანი მუდმივად სამაგიეროს მიღების მოლოდინში იქნება, რაც მოწყალების ჭეშმარიტ არსს აკნინებს.

მუსლიმი, რომელიც ღვთისმსახურების მიზნით, მოწყალებას გაიღებს, ქონების ნაწილს ღატაკებს გაუყოფს და საკუთარი ოჯახისთვისაც სასარგებლო საქმეებს გააკეთებს, ის ერთგული, კარგი ზრახვების მქონე, მადლიანი, ქველმოქმედი და ალლაჰის მორჩილი პიროვნებაა.



როგორც ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა, **„მოწყალების გაღება ყველა მუსლიმის მოვალეობაა.“** ამის გამგონი გაოცდნენ, რადგან მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მოწყალების გაღებისთვის საჭირო ქონება არ გააჩნდათ და მოწყალების გაღებას ვერ ახერხებდნენ. ამიტომ მათ ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ს.) ჰკითხეს:

- ადამიანს თუ მოწყალებად გასაცემი არაფერი აქვს, რა უნდა ქნას?

შუამავალმა (ს.ა.ს.) მიუგო:

- **„იმუშაოს, თან თავისთავს სარგებელს მოუტანს, თან მოწყალებას გაიღებს!“**

- თუ ამისთვის ძალა (ან სამუშაოს ვერ იპოვის) არ ეყოფა, მაშინ რა უნდა ქნას?

- **„გაჭირვებულს დაეხმაროს!“**

- თუ ამის ძალაც არ შესწევს?

- **სხვებს სიკეთე ურჩიოს!**

- თუ ამასაც ვერ აკეთებს?

- **ბოროტებისგან თავი შეიკავოს. მისთვის ესეც მოწყალებაა!**[1]

მოწყალების გაღების მნიშვნელობის შესახებ, შუამავალი (ს.ა.ს.) შემდეგს ბრძანებდა: **„ადამიანი ვალდებულია თავისი სხეულის ყოველი ნაწილისთვის ყოველდღე მოწყალება გაიღოს. მოწყალებაა ორ პიროვნებას შორის არსებული უკმაყოფილების მოგვარება, ტრანსპორტირებით დახმარება, ტკბილი სიტყვის წარმოთქმა, სავალდებულო ლოცვის შესრულებისთვის მეჩეთისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი და ადამიანებისთვის გზიდან ხელისშემშლელი საგნების აღება.“**[2] ამასთანავე, შუამავალი (ს.ა.ს.) ალალ ლუკმასაც მოწყალებად მიიჩნევდა: **„საკუთარი ოფლით მოპოვებული ალალი ლუკმის მირთმევაც მოწყალებაა. ასევე, შრომით მოპოვებული სარჩოს შვილზე, ცოლსა და მოსამსახურეზე მიტანაც მოწყალებაა.**[3] ასევე, მისი გადმოცემის თანახმად, ერთი მუსლიმის მიერ მეორე მუსლიმ ძმაზე მისალმება და პიროვნებისთვის საკუთარ ცოლთან ერთად ყოფნაც მოწყალებაა.[4] ამასთანავე, შუამავალი (ს.ა.ს.) მუსლიმ ძმაზე კარგად მოპყრობას, საკუთარ ჭურჭელში არსებული წყლის მუსლიმი ძმის ჭურჭელში გადაცლას, გზააბნეულზე სწორი გზის მისწავლებას, გაჭირვებაში მყოფთათვის დახმარების გაწევას, მევალისთვის, რომელსაც ვალის გადახდა უჭირს, ვადის გაგრძელებას და ხის დარგვის მსგავს ყველა კარგ ქმედებას მოწყალებად მიიჩნევს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„...ვინც მოწყალებას გასცემდა და ღვთისმოშიში იყო, და დაამოწმა ყველაზე მშვენიერით, მაშინ ჩვენც წარმატებულს ვქმნით მას იოლი გზით! და ვინც იძუნწებს (მიწიერით დაკმაყოფილდება) და თავისთავს საკმარისად ჩათვლის, და ცრუდ მიიჩნევს მშვენიერს, მას ადვილად მოვისვრით გზაზე, რომელიც სიძნელეებით არის სავსე.“**[5]

ადამიანმა უნდა ეცადოს და შეძლებისდაგვარად მოწყალება გაიღოს. მაგალითად, ფიზიკურად ძლიერმა ადამიანმა - ფიზიკურად, სწავლულმა - ცოდნის გადაცემით, მდიდარმა - ქონების გაცემით... ვინაიდან მოწყალების გაღება ადამიანის ფიზიკურ ძალასა და ქონებრივ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, მოწყალების პირველი ფორმა მატერიალური მხარეა, თუმცა ქონებრივი სიმდიდრის არმქონე ფიზიკურად ძლიერ ადამიანს, თავისუფლად შეუძლია თავისი ძალის გამოყენებით, ფიზიკურად სუსტ ადამიანებს დახმარება გაუწიოს. მოხუცი და ავადმყოფი პიროვნების მიერ გაკეთებული სასარგებლო რჩევა-დარიგებაც მოწყალებაა. ასევე, ახალგაზრდების მხრიდან მოხუცების მიმართ გამოვლენილი პატივისცემაც მოწყალებაა.

ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: **„ყოველი სიქველე მოწყალებაა.“**.[6] ამ ჰადისიდან გამომდინარე, ყოველი კარგი და ლამაზი ქმედება მოწყალებად ითვლება. ასე, რომ ადამიანს შეუძლია ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაიღოს მოწყალება, მისი წყალო-

1. მუსლიმი, ზექათი, 55; ბუხარი, ზექათი, 30
2. მუსლიმი, ზექათი, 56
3. იბნი ჰანბელი, IV, 131
4. იბნი ჰანბელი, V, 178
5. სურა ლეილი, 92/5-10
6. ბუხარი, ედები,ჯ33ზ

ბით მოემზადოს საიქიოსთვის და ალლაჰის წყალობა დაიმსახუროს.

ერთ დღეს შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: **„ადამის ძენი გაიძახიან „ჩემი ქონება“, ქონება გაიძახის: ჰეი, ადამის ძენო, ნეტავი მართლა გგონიათ, რომ გარდა გახარჯულისა, ჩაცმულისა, გაცვეთილისა და მოწყალებად გაცემულისა (იმისთვის, რომ საიქიოში მიიღებთ სამაგიეროს), შენი ქონებაა.?“**[7]

დალოცვილი აიშეს (რ.ა.) გადმოცემის თანახმად, ერთ დღეს ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ს.) თავისი ოჯახისთვის ცხვარი დაუკლავს, შემდეგ კი უკითხავს, თუ რამდენი ხორცი დარჩა იმ ცხვრისგან? დალოცვილმა აიშემ მიუგო; „ჩვენ მხოლოდ ზედა მხრის ძვალი დაგვრჩა.“ ამ პასუხის შემდეგ შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: **„ესე იგი, ზედა მხრის ძვლის გარდა, ყველა ჩვენ დაგვრჩენია.“**[8]

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ადასტურებს იმას, რომ მოწყალების გაღებით ქონებას არაფერი აკლდება,[9] პირიქით, ემატება კიდეც, ვინაიდან მოწყალების გამღები სამაგიეროს იმქვეყნად ალლაჰისგან მიიღებს და უზენაესი ალლაჰი მას მოწყალებით დააჯილდოებს. ერთ-ერთმა საჰაბემ მოწყალებად აქლემი გაიღო. ეს შუამავალმა (ს.ა.ს.) გაიგო, ასე ბრძანა: **„ამ ადამიანს, უზენაესი ალლაჰი იმქვეყნად მოწყალებად გაღებული შვიდასი აქლემის მადლს დაუწერს.“.**[10] ამ საკითხთან დაკავშირებით, წმინდა ყურანში, უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს: **„მათი მდგომარეობა, რომელნიც თავიანთ ქონებას ალლაჰის გზაზე ხარჯავენ, იმ მარცვლის მდგომარეობას ჰგავს, რომელმაც შვიდი თავთავი გამოიღო, თითო თავთავში კი ასი მარცვალია. და ალლაჰი გაუმრავლებს, ინებებს ვისაც. ალლაჰი ყოვლისმომცველია, ყოვლისშემძლეა.“**[11]

მორწმუნეს, ალლაჰის გულისთვის გაღებული ერთი მოწყალების სანაცვლოდ, იმქვეყნად შვიდასი გაღებული მოწყალების მადლი დაეწერება. ვინაიდან ვინც თავისი ქონებიდან მოწყალებას არ გაიღებს, ის ქონება მხოლოდ ამქვეყნად დარჩება, დაიკარგება ან სრულიად უსარგებლო გახდება. თუმცა, ვინც ღვთის გზაზე მოწყალებას გაიღებს, ის მადლიანთა შორის აღმოჩნდება და მას მადლი მანამ დაეწერება, სანამ მის მიერ გაღებულით სარგებლობა არ შეწყდება. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: **„გარდაცვალების შემდეგ, ადამიანს მადლის დაწერა მხოლოდ სამი დანატოვარისგან გაუგრძელდება: „სადაყაი ჯაარიე“ (მოწყალებად გაღებული რაღაც, რომლის გამოყენება და მისგან სარგებლის მიღება ყოველთვის არის შესაძლებელი), განათლებისთვის საჭირო ცოდნა, (რომელიც თაობიდან თაობებს გადაეცემა) და ჭეშმარიტი მორწმუნე შვილი, რომელიც მისთვის ვედრებას აღავლენს.“**[12]

გაღებული მოწყალების რაოდენობა მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ისაა, თუ რაოდენ გულრწფელად და ალალი მონაპოვრით იქნა ის გაცემული. ამ საკითხთან დაკავშირებით, შუამავალს (ს.ა.ს.) ჰკითხეს, თუ გაღებულ მოწყალებათა შორის, რომელი იყო ყველაზე ნაყოფიერი და მადლიანი? შუამავალმა (ს.ა.ს.) კი ყოვლად საინტერესო პასუხი გასცა: **„იმ ადამიანის მოწყალება, რომელსაც მცირედი ქონება მოეპოვება, თუმცა მაინც გასცემს.“**[13]

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ალალად მოპოვებული ქონების მოწყალებად გაღების მნიშვნელობის შესახებ ასე ბრძანებს: **„ალლაჰი მხოლოდ ალალი გზით მონაპოვარ მოწყალებას მიიღებს. აქედან გამომდინარე, ვინც ალალი და სამართლიანი გზით მონაპოვარ, ერთი ხურმის ტოლფას მოწყალებას გაიღებს, ალლაჰი მისი კმაყოფილი იქნება და ამ მადლიანი ქმედებისთვის დააჯილდოებს. შემდეგ თქვენგან დაადგენს მყარად მის პატრონს ისე, როგორც მთას და მიუძღვნის მას სიკეთეს.**[14] **ისე, რომ მოწყალებად გაღებული ერთი ლუკმის მად-**


7. მუსლიმი,ზუჰდი, 3
8. თირმიზი,სიფათულ-ყიამე, 33
9. მუსლიმი, ბირრი, 69
10. ნესაი, ჯიჰადი, 46
11. სურა ბაყარა, 2/261
12. მუსლიმი, ვასიიე, 14; ებუ დავუდი ,,ვესააია, 14
13. დარიმი, სალათი, 135; ებუ დავუდი, ვითირი, 12
14. ბუხარი, ზექათი 8

ლი უჰუდის მთისოდენა გახდება და მისი სიკეთე მას, მის მიხედვით დაუბრუნდება.

გულრწფელი განზრახვითა და ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებისთვის გაცემული ყოველი მოწყალება, ალლაჰის წინაშე ძვირფასი და დალოცვილია. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: **სამოთხეში ერთ-ერთი შესასვლელი კარი მოწყალების გამღებთათვისაა განკუთვნილი“.**[15] ის ასევე დასძენს, რომ ყოველი გაღებული მოწყალება მადლში გადაიზრდება და არცერთი სიკეთე უპასუხოდ არ დარჩება: **„უეჭველად მოწყალება, აღმოფხვრავს ყველა იმ ცუდ ქმედებას, რაც ალლაჰის წინაშე მიუღებელია. მისი მიზეზით მუსლიმს მშვიდი და წყნარი ცხოვრება მიეცემა, მის მიერ ჩადენილ ცოდვებს გადაფარავს, მას მოსალოდნელი სიავისგან დაიცავს და ალლაჰის ნებით, მტანჯველ სიკვდილს თავიდან აიცილებს.“**[16] **„აღსასრულის დღეს, მუსლიმის თავშესაფარი, მის მიერ გაღებული მოწყალება იქნება.“**[17]

ალლაჰის შუამავალის (ს.ა.ს.) გადმოცემით, მოწყალების გაღება, დიდ ზეგავლენას პიროვნების ფსიქოლოგიაზეც ახდენს. მაგალითად, ერთხელ ერთ-ერთმა საჰაბემ შუამავალს (ს.ა.ს.) ჰკითხა: „ალლაჰის შუამავალო, მე ძალიან მკაცრი გული მაქვს, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რათა უფრო ლმობიერი გავხდე? ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ის ასე დაარიგა: **„შენი გული ლმობიერი და მოსიყვარულე რომ გახდეს, ამისთვის ღატაკებზე მოწყალების გაღება და ობლებზე მოფერებაა საჭირო“.**[18] ასევე, შუამავლმა (ს.ა.ს.) ბრძანა: **„თქვენი ავადმყოფები გაღებული მოწყალებით განკურნეთ!“**[19]

მოწყალების გაღება შეცდომების გამოსწორებისა და მათზე ზურგის შექცევის საუკეთესო საშუალებაა. შეცდომების გამოსწორება მოწყალების გაღებითა და მონანიებითაა შესაძლებელი. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: **„როგორც წყალს**



შეუძლია ცეცხლი ჩააქროს, ისე შეუძლია მოწყალებას ცოდვები გადაფაროს..“[20] ასევე, მუსლიმი ყველანაირად უნდა ცდილობდეს დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეოროს. ამ საკითხთან დაკავშირებით, შუამავალი (ს.ა.ს.) კვლავ ბრძანებს: **„პიროვნება ოჯახით, ქონებით, ვნებებით, შვილებითა და მეზობლით გამოიცდება. ამ გამოცდის გადალახვა კი მარხვით, ლოცვით, მოწყალების გაღებით, ადამიანების სიკეთისკენ მოწოდებითა და ბოროტებისგან თავის არიდებითაა შესაძლებელი.“**[21]

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ვაჭრებთან საუბრობდა და შემდეგ ისინი

15. მუსლიმი, ზექათი, 85
16. თირმიზი, ზექათი, 28
17. იბნი ჰანბელი, IV, 233
18. იბნი ჰანბელი,ჯII,ჯ264
19. ბეიჰაქი, ეს-სუნენულ-ქუბრა, III, 542
20. თირმიზი, ჯუმა, 79
21. ბუხარი, მევაქითუს-სალათი, 4; მუსლიმი, ფითენი, 26



ასე დაარიგა: **„ვაჭრებო, უეჭველია, რომ ვაჭრობისას ფუჭ სიტყვებსა და დაფიცებებს აქვს ადგილი. ამიტომ, ვაჭრობასთან ერთად, მოწყალებაც გაიღეთ! (რათა ამით შეცდომები გამოისყიდოთ).**[22]

ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ჯოჯოხეთის შესახებ ისაუბრა, მისი სასჯელისგან ალლაჰს მიეკედლა, სამჯერ სახე შეატრიალა და ბრძანა: **„მოკრძალებული იყავით და თავი ჯოჯოხეთის სასჯელისგან დაიცავით, თუნდაც ფინიკის ნახევარი ხურმით, რომც არ გებადოთ ის, მაშინ კეთილი სიტყვით!“**[23]

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) პარასკევისა და ბაირამის ლოცვის დროს, მლოცველთა მწკრივში გაივლიდა და მათ **მოწყალების გაღებისკენ** მოუწოდებდა. ხელგაშლილობით ცნობილი საჰაბე ებუ საიდ ელ–ჰუდრი (ა.კ.ი.მ.) გადმოგვცემს: „ბაირამის დღეს შუამავლთან (ს.ა.ს.) ერთად ორი მუხლი ლოცვა შევასრულეთ, შემდეგ მან პირი ჩვენკენ იბრუნა და ბრძანა: **„გაეცით მოწყალება!“** და იქვე დაამატა: **„აუცილებელია ქალებმაც გაიღონ მოწყალება!“**

ვინც გაიღო მოწყალება, ესე იგი მან, შეჰმადლა ალლაჰს და მასზე ბოძებული მოწყალება სხვებსაც გაუზიარა. უზენაესი ალლაჰი ადამიანებისგან სიკეთის კეთებას ითხოვს და ასე ბრძანებს: **„სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა შენ!“**[24]

ამ საკითხთან დაკავშირებით, უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს: **„რომელნიც გასცემენ მოწყალებას თავიანთი ქონებიდან ღამითა თუ დღისით, ფარულად თუ აშკარად, სწორედ, იმათ აქვთ საზღაური თავიანთ უფალთან. და არცა შიში ექნეთ და არცა დამწუხრდნენ ისინი.“**[25]

მოწყალება ყველანაირი მოლოდინისა და ყველანაირი ანგარების გარეშე, მალულად უნდა იქნას გაცემული. მორწმუნე მოწყალების საფასურს, მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰისგან უნდა ელოდოს. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „ყველაზე მადლი ის მოწყალებაა, რომელიც მალულადაა გაცემული. ისე, რომ მარჯვენა ხელით გაცემული, მარცხენამ არ უნდა იცოდეს.“ წარღვნის დღეს, სწორედ, შვიდი კატეგორიის ადამიანები იქნებიან დაცული და მათგან ერთ-ერთი მოწყალების მალულად გამღები იქნება.[26]

მოწყალების გაღება ყოველთვის მნიშვნელოვანია, თუმცა მისი გაღების განსაკუთრებული მომენტიც არსებობს, რომლის საფასურიც განსაკუთრებული იქნება. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„...გაიღეთ მოწყალება იქიდან, რაც ჩვენ მოგმადლეთ, ვიდრეღა სიკვდილი გეწეოდეთ თქვენგან რომელიმეს. მაშინ ასე იტყვის: ღმერთო ჩემო! განა არ შეიძლებოდა გადაგეგვადებინა ჩემთვის მცირე ხნით. ამგვარად, მოწყალებას გავიღებდი და ვიქნებოდი საუკეთესოთაგანი.“** [27] აქედან გამომდინარე, მოწყალების გაღება არ უნდა დავაგვიანოთ და მანამ უნდა გავიღოთ, ვიდრე ძალა შეგვწევს. ებუ ჰურეირას (ა.კ.ი.მ.) გადმოცემის თანახმად, ერთი კაცი შუამავალთან (ს.ა.ს.) მივიდა და ჰკითხა: - ალლაჰის შუამავალო, რომელი მოწყალებაა უფრო მადლი? შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: **„მოწყალების გაღება მაშინაა ნაყოფიერი, როცა ხარ ჯანმრთელი, გეშინია სიღატაკის და იღვწი შეიქმნა მდიდარი. და არ გადადო მოწყალების გაცემა მანამ, ვიდრე ყელში სული მოგებჯინება.“**[28] აქედან გამომდინარე, მადლის მოპოვების

22. ებუ დავუდი, ბუიუ, 1
23. მუსლიმი, ზექათი, 68
24. სურა ყასასი, 28/77
25. სურა ბაყარა, 2/274
26. ბუხარი, ზექათი, 16
27. სურა მუნაფიყუნი, 63/10
28. ბუხარი, ვესაია, 7

მხრივ, ახალგაზრდისა და მოხუცის მიერ გაღებული მოწყალება, ერთი და იმავე საფუხურზე ვერ იქნება. ვინაიდან მოხუცს ან კიდევ ავადმყოფს, რომელმაც კარგი მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, ახალგაზრდობისას არაფერი გასცა მოწყალებად და მოხუცებულობისა და ავდმყოფობის ჟამს ცდილობს გაიღოს, ეს ალბათ იმიტომ, რომ აღარაფრად სჭირდება ან კიდევ მისთვის ქონება უსარგებლო გახდა. სიკვდილის მოახლოების ჟამს კი ცდილობს გამოისყიდოს შეცდომები და ცოდვები მოინანიოს. შესაძლებელია კიდეც მიეტევოს და ეპატიოს ცოდვები, ვინაიდან, უზენაესი ალლაჰი მოწყალე და მწყალობელია. ამ ყველაფერთან ერთად, აქ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს უნდა გაესვას ხაზი: მოწყალების გაცემა ყველაზე მადლი მაშინაა, როცა სამაგიეროს არასდროს ელოდები, ხარ ახალგაზრდა და ჯანმრთელი. მიუხედავად ჯანმრთელობისა და ახალგაზრდობისა, უარს ამბობ ამქვეყნიურ ვნებებზე და მხოლოდ ერთადერთ ალლაჰზე ხარ მიკედლებული.

რასაკვირველია, მოწყალება დამცირებითა და დაცინვით არ უნდა იქნას გაღებული. ასევე, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ცუდ თვისებათა შორის ერთ-ერთი, გაკეთებული საქმის დაყვედრებაა. ამ საკითხთან დაკავშირებით, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„კეთილი სიტყვა და მიტევება უკეთესია ისეთ მოწყალებაზე, რომელსაც თან ახლავს წყენა. და ალლაჰი ყოვლადმდიდარია, შემწყნარებელია.**

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაცემული მოწყალება ამაოდ არ ჰქმათ დაყვედრებითა და დამცირებით; იმის მსგავსად, რომელიც ხალხის დასანახად გასცემს თავის ქონებას, და არ სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი.“[29]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ყურადღება ენიჭება იმასაც, თუ ვისთვის ან კიდევ როგორ ხდება მოწყალების გაღება. პიროვნებამ, პირველ რიგში, თავისი ოჯახისთვის უნდა გაიღოს მოწყალება. რადგან შუამავალი (ს.ა.ს.) ბრძანებს: **„პიროვნების მხრიდან თავისი ოჯახისთვის გაწეული ხარჯები, მოწყალებად ითვლება.“**[30] შუამავალი (ს.ა.ს.) მოგვიწოდებს, რომ ადამიანმა საჭიროებისას, თავდაპირველად, თავის ოჯახს უნდა მიხედოს და შემდეგ სხვებს. აქედან გამომდინარე, ის ასევე ბრძანებს: **„პიროვნების მხრიდან თავის ოჯახისთვის გაწეული ხარჯების შემდეგ, სხვებზე მოწყალების გაღება და ამრიგად მათზე დახმარების აღმოჩენა, გაღებულ მოწყალებათა შორის ყველაზე ნაყოფიერია. გამცემი ხელი ამღებ ხელზე უფრო ხეირიანია. პირველ რიგში მათგან დაიწყე, რომელთა ვალდებულებაც შენ გაკისრია.“**[31]

პიროვნებამ, მოწყალების გაღებისას, ჯერ ოჯახი, შემდეგ კი ნათესავები უნდა გაითვალისწინოს. რადგან მას, მოწყალების მადლთან ერთად, ნათესაური კავშირის დაცვის მადლიც დაეწერება. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) აღნიშნავს, რომ ნათესავზე გაწეული დახმარება, ხელს შეუწყობს ნათესაური კავშირის გამყარებასა და მათ შორის არსებული პრობლემების მოგვარებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: **„გაცემულ მოწყალებათა შორის ყველაზე სასარგებლო, შენ მიმართ (მისთვის, ფარულად) მტრულად განწყობილ ნათესავზე გაცემული მოწყალებაა.“**[32]

მოწყალება ალლაჰის კმაყოფილებისთვის უნდა იქნას გაღებული. ისლამში სამადლო და სასარგებლო ქმედებებს საზღვრები გააჩნია. ჯპიროვნება, რომელმაც კარგად იცის და ესმის, თუ რაოდენ დიდი მადლია მოწყალების გაღება, ის ყველანაირად შეეცდება, მოუაროს ოჯახს, დაეხმაროს ახლობებს და შესაძლებლობის შემთხვევაში, ყველა გაჭირვებულს ხელი გაუწოდოს. სხვათა შორის, არა მარტო ადამიანებს, არამედ ცხოველებსაც. ადამიანებს სრული უფლება აქვთ სასიკეთო და სასარგებლო საქმეებში ერთმანეთს შეეჯიბრონ.

უზენაესმა ალლაჰმა უნაკლოდ მიიღოს ჩვენს მიერ გაღებული მოწყალება და კეთილი საქმეები! ამიინ! ■

29. სურა ბაყარა, 2/263-264

30. ბუხარი, მეღაზი, 12
31. დარიმი, ზექათი, 22
32. იბნი ჰანბელი, V, 416



მსხვერპლშეწირვის ღვთისმსახურება (ყურბანი)

ზებურ ხოზრევანიძე

მსხვერპლშეწირვა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თაყვანისცემა, რომელსაც ყველა მუსლიმი ერთობლივად ასრულებს გარკვეულ დროს. მუსლიმები ამ თაყვანისცემას, წარსულში და დღესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ისლამის ერთ-ერთ შეუცვლელ თვისებად მიიჩნევენ. ამიტომ, მსხვერპლშემწირველის თაყვანისცემის ნაცვლად ალტერნატიული წინადადებების გაკეთება ნიშნავს ამ ისტორიული მიდგომის იგნორირებას.

1. მსხვერპლშეწირვის ისტორიული კურსი და მისი დამუშავება ისლამურ ტრადიციაში

ფაქტია, რომ მსხვერპლშეწირვის ტრადიცია არსებობდა ისტორიის მანძილზე ყველა ღვთაებრივ რელიგიაში, თუმცა სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით, რათა შესრულებულიყო ალლაჰის ბრძანება ან გამოეხატა კმაყოფილება მისთვის მინიჭებული კურთხევით.

ყურანში არის აიათები, რომლებიც მიუთითებს წმინდა ადემ შუამავალის შვილების მიერ მსხვერპლშეწირვაზე, ასევე ალლაჰმა წმინდა იბრაჰიმ შუამავალს გაუგზავნა ვერძი მისი შვილის ნაცვლად შესაწირად. **„და ჭეშმარიტად, წაუკითხე შენ მათ ამბავი ადამის ორი ვაჟისა. ოდესღაც, მსხვერპლი შეწირეს ორივემ და შეწყნარებული იქმნა ერთისაგან და არ იქნა შეწყნარებული მეორისაგან. და თქვა მან: „მე მოგკლავ შენ უსათუოდ! უპასუხა:“ ალლაჰი მხოლოდ ღვთისმოშიშთაგან შეიწყნარებს.“** (მაიდე 5/27) **„და გამოსასყიდად მას ვუბოძეთ უდიდესი შესაწირი“.** (საფფათი 37/107) მუჰამმედ შუამავალი ასევე ხაზს უსვამს, რომ წმინდა აბრაამთან ერთად აღადგინეს მსხვერპლშეწირვის მიზნით „ცხოველების დაკვლის“ ტრადიცია. ამრიგად, მონობის შეგნებით და შვილის მხარდაჭერით, წმინდა იბრაჰიმ შუამავალმა აღადგინა მსხვერპლშეწირვის ტრადიცია და წარმატებით ჩააბარა ალლაჰის ბრძანების აბსოლუტური მორჩილების გამოცდა. **„როცა მიაღწია მასთან ერთად სეირნობის ასაკს, უთხრა: „შვილო ჩემო, უჭველად, სიზმარში ვიხილე, რომ მსხვერპლად გწირავდი. მაშ, გაიაზრე, აბა რას ჭვრეტ?“ მიუგო: „მამაჩემო! ჰქმენ რაც გებრძანა, მე მიხილავ მომთმენთაგან თუ იქნება ნება ალლაჰისა!“.** (საფფათი 37/102) წმინდა იბრაჰიმი ჰაჯობის დროს ყურბანს კლავდა და სხვებსაც მოუწოდებდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ იგი უწყვეტად



შესრულებულ ქმედებად იქცა და სავალდებულო სახე მიიღო. რაც შეეხება წმინდა იბრაჰიმის მიერ ნანახ სიზმარს, რომელიც მან ისე შეიცნო, როგორც ღვთის ბრძანება და მისი სისრულეში მოყვანა სცადა. როდესაც ისმაილი ყურბნად შეწირვას გადარჩა, ეს მოვლენა წმინდა იბრაჰიმ შუამავალმა იზეიმა და შვილის დაკვლის სანაცვლოდ ღვთის მიერ ბოძებული ვერძი (ყურბანი) შესწირა. ალლაჰის შუამავალი მუჰამმედი ს.ა.ს. გვამცნობს: ***„ყურბანი დაკალით, რადგან ყურბნის დაკვლა თქვენი წინაპრის - წმინდა იბრაჰიმ შუამავლის შესრულებული ქმედებაა“.*** (იბნი მაჯე, ედაჰი, 3.)

ეს ტრადიცია ისლამამდე არაბულ საზოგადოებაში ხორციელდებოდა კერპებისთვის ბავშვების, მონებისა და ტყვეების შეწირვის სახით. მუჰამმედ შუამავალთან ერთად ის გაიწმინდა ნეგატიური ელემენტებისგან, როგორიცაა მკვლელობა, პოლითეიზმი, ცხოველების მიმართ სისასტიკე და გარემოს დაბინძურება და დაიწყო ორიგინალური შესრულება.

მსხვერპლშეწირვის თაყვანისცემა, რომელიც არსებითად არის ალლაჰის მადლიერება და დაახლოება (ყურბეთი), ლეგიტიმური გახდა მუჰამმედ შუამავალის მედინაში მიგრაციის მეორე წელს (624 წ.) მუსლიმებმა განაგრძეს ეს პრაქტიკა ჩვენს დრომდე. ამბობენ, რომ მუჰამმედ შუამავალი ამ წლიდან სიკვდილამდე სწირავდა მსხვერპლს. მას შემდეგ ყველა მუსლიმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსხვერპლშეწირვის თაყვანისცემას და იღებდა მას ისლამის განუყოფელ ნაწილად და ისლამის სიმბოლოდ.

ყურანში მსხვერპლშეწირვა ხდება იმ მსხვერპლშეწირვის ფარგლებში, რომლის შეწირვასაც ითხოვენ ჰაჯის დროს. ეს აიათები მიუთითებს იმაზე, რომ მსხვერპლშეწირვა უბრძანეს საზოგადოებებს ისლამამდე, რომ უნდა დაეკლათ ალლაჰის სახელის გახსენებით, რომ მსხვერპლის ხორცი შეიძლება მიართვან როგორც დამკვლელს (ყასაბი), ასევე გაჭირვებულებს, და რომ მთავარი მსხვერპლშეწირვის მიზანი არ არის ხორცის წარმოება ან სისხლის დაღვრა, პირიქით, მას აქვს კეთილი განზრახვა, მიაღწიოს ალლაჰის კმაყოფილებას. **„უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა. ასე დაგიმორჩილათ მან ისინი თქვენ, რათა ადიდოთ ალლაჰი იმისათვის, რომ დაგაყენათ სწორ გზაზე. მაშ, ახარე სიკეთისმქნელთ!“.** (ჰაჯი 22/37)

2. რა არის მსხვერპლშეწირვა (ყურბანი)?

ეს სიტყვა, რომელიც თურქულში გამოიყენება როგორც „მსხვერპლშეწირვა“ და ლექსიკონში ნიშნავს „ის, რაც ადამიანებს ღმერთთან აახლოებს“, აღნიშნავს გარკვეული მახასიათებლების მქონე ცხოველების დაკვლას ალლაჰისთვის. დღესასწაულებზე დაკლული ცხოველები, როგორიცაა აქიქა ან ნეზირი, განსხვავდება ყურბან ბაირამზე შესრულებული მსხვერპლშეწირვისგან.

სიტყვა ყურბანი ყურანში ორ ადგილას არის ნახსენები და მის ზოგად მნიშვნელობასთან დაკავშირებით იგულისხმება „რაც აახლოებს ადამიანს ალლაჰთან“. გამოიყენება ზებჰ, ნაჰრი, უდჰიიე და ჰედი ცნებები. მათგან სიტყვა უდჰიია უპირატესად გამოიყენებოდა მუჰამმედ შუამავლის მიერ ღიიდ-ულ-უდჰას დღეებში დაკლული ცხოველების გამოსახატავად. მსხვერპლის შესახებ გაკეთებულ განმარტებებში წინა პლანზე მოდის შემდეგი პუნქტები!

ყურბანი,

ა. ეს არის გარკვეული დღეებისთვის დამახასიათებელი თაყვანისცემა,

ბ. სიმპტომი ვლინდება ჯიშის და ხარისხის ცხოველების დაკვლით,

გ. ეს არის ალლაჰისადმი მორჩილების ნიშანი,

დ. განზრახვა აუცილებელია მისი მართებულობისთვის.

3. როდის შეიძლება მსხვერპლის გაღება?

ალლაჰის შუამავალი მუჰამმედი ს.ა.ს გვამცნობს:

„ყურბანი დაკალით, რადგან ყურბანის დაკვლა თქვენი წინაპრის - წმინდა იბრაჰიმ შუამავლის შესრულებული ქმედებაა“.

(იბნი მაჯე, ედაჰი, 3.)

მსხვერპლშეწირვა არის თაყვანისცემა, რომელიც მიეკუთვნება მის აღსრულებას. ამ თაყვანისცემაზე პასუხისმგებლობის მიზეზი არის იმ პირობების დაკმაყოფილება, რომელიც მოითხოვს მსხვერპლშეწირვას ამ დროს. ამიტომ, ის უნდა შესრულდეს გარკვეულ ვადაში, რათა შევიდეს ძალაში.

მსხვერპლშეწირვა დაიწყება, მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის პირველ დღეს, ლოცვის შემდეგ და გაგრძელდება მეოთხე დღეს მზის ჩასვლამდე.

4. რა ცხოველების შეწირვა შეიძლება?

ისლამის თანახმად, ცხოველთა ყველა სახეობა, რომლის ხორცის ჭამაც შეიძლება, არ არის შესაფერისი შესაწირად. მსხვერპლად შეწირვა შემოიფარგლება აქლემებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით, კამეჩებით, ცხვრებითა და თხებით, ასევე აღნიშნული ცხოველები გარკვეული ასაკის უნდა იყვნენ. მაგალითად, აქლემი ხუთი წლის უნდა იყოს, პირუტყვი და კამეჩი ორი წლის, ცხვარი და თხა ერთი წლის. ასევე შესაძლებელია მსხვერპლად შეწირვა ბატკნების, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ ექვსი თვის ასაკი, მსუქანია და გარეგნულად არაფრით განსხვავდება ერთი წლისას. **„აქლემები დაგიდგინეთ ალლაჰისთვის ზვარაკად შესაწირი, რიტუალურ სიმბოლოდ. მათ მოაქვთ თქვენთვის სიკეთე. მაშ წარმოთქვით მათზე ალლაჰის სახელი, როცა დგანან მწკრივად და როცა გვერდზე დაეცემიან; ჭამეთ მათგან და უწილადეთ იმათ, ვინც მცირედითაა კმაყოფილი და ვინც ითხოვს სიღატაკის გამო. ასე დაგიმორჩილეთ ისინი. ეგებ შეიქმნეთ მადლიერნი!“.** (ჰაჯი 22/36)

მუჰამმედ შუამავალი ერთობლივად მიუთითებს შესაწირი ცხოველების სხეულებრივ მახასიათებლებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ნაკლად ან ჯანმრთელობის პრობლემად.

სამსხვერპლო ცხოველს არ უნდა ჰქონდეს შემდეგი ოთხი ნაკლი: საგრძნობლად სიბრმავე რომელიმე თვალში, კოჭლობა რომელიმე ფეხის არეში, დაავადება და სისუსტე. ამ ოთხი მახასიათებლიდან პირველი ორი ყურადღებას ამახვილებს ცხოველის ფიზიკურ მახასიათებლებზე, მესამე მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ბოლო ორივე ასპექტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. როგორ უნდა განაწილდეს მსხვერპლის ხორცი (ყურბანი)

ისლამის მიხედვით შესაწირი ხორცის მოხმარება მოიცავს სამ საკითხს: ხორცი სამად უნდა გაიყოს და თითოეული ეს წილი თავად მსხვერპლშემწირველმა ოჯახის წევრებთან ერთად მიირთვას, ნაწილი ნათესავებსა და მეზობლებს ასევე ნაწილი ღარიბებს გადასცეს. მსხვერპლშეწირვა სოციალური სოლიდარობისა და თანამშრომლობის განზომილებაა, ამიტომ მორალურად და რელიგიურად, ეს უფრო შესაფერისი ქცევაა.

ვინაიდან მსხვერპლშეწირვა არის ღვთისმსახურება, ამიტომ მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს მისი რომელიმე ნაწილის გაყიდვა ფულისა და მოგებისთვის. თუმცა, წყაროებში ასევე აღნიშნულია, რომ მსხვერპლის ტყავის გაცვლა, გაყიდვა და ამ ფულის მოწყალებად გაღება მსხვერპლშეწირვის ღვთისმსახურებას არანაირ ზიანს არ აყენებს. მსხვერპლშემწირველის განკარგულებაშია ყველაფერი, რაც მსხვერპლს ეკუთვნის. მსხვერპლშემწირველს შეუძლია გამოიყენოს ისინი ისე, როგორც სურს, თავისი შეხედულების მიხედვით ისევ ღვთისმსახურებისათვის.

თანამედროვე ტექნოლოგია და ბავშვები

ირმა ბოლქვაძე
საბავშვო ბაღ ჩიორას პედაგოგი

ჩვენს ეპოქაში იმრავლა ახალმა ტექნოლოგიებმა, მათთან წვდომისას ბავშვები სრულიად დაუცველები არიან. ჩვენს ბავშვებს საფრთხე რომ არ შეექნათ, ვალდებული ვართ მოვარიდოთ და არ მივსცეთ უფლება, დიდი ხნით მიეჯაჭვონ ამ ტექნიკას. მეტი დრო დაუთმოთ მათთან კითხვა პასუხებით საუბარს, წაუკითხოთ ზღაპრები, წავახალისოთ თეატრალური და დიდაქტიკური თამაშებით, დავაინტერესოთ ხატვითა და ხელოვნებით, მეტი სიახლეებით გავუფერადოთ ცხოვრება, რითაც ბავშვებს სხვადასხა უნარებს განუვითარებთ. აგრეთვე, ბუნებაში სეირნობით ბავშვებს ავარიდებთ უმოქმედობასა და იმ ახალ ტექნოლოგიებთან მიჯაჭვულობას, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე. რამდენ სითბოსა და სიყვარულსაც გავსცეთ ბავშვებს, იგივეს მივიღებთ მათგან. ბავშვები ჩვენი მომავალია, ჩვენი წინსვლა და წარმატებაა.

ბავშვის აღზრდა - განვითარების საწყისი ადგილი პირველ რიგში ოჯახური გარემოა, შემდეგ საბავშო ბაღი და სკოლაა. თითოეული ბავშვი ინდივიდუალურია, ყველას თავისებური აღზრდა სჭირდება. მასწავლებელის როლი დიდია ბავშვის აღზრდა-განვითარებაში, მან უნდა ამოიცნოს ბავშვის ფიზიკური, ფსიქიკური მონაცემები და სათუთად, გარკველი გზებითა და მეთოდები მიუდგეს, დაიცვას და გაუფრთხილდეს როგორც საზოგადოებრივ მოქალაქეს, დაიცვას ბავშვის უფლებები და თა-



ვისუფლებები, მისცეს ცოდნა, აღზარდოს სრულფასოვან საზოგადოების წევრად. ბავშვს მეტი სითბო და სიყვარული სჭირდება, უნდა ვესაუბროთ სიკეთეზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე, რელიგიის სიყვარულსა და სიწმინდეზე, იმ დადებით თვისებებზე რაც სჭირდება მომავალ თაობას. აგრეთვე, ახალი ტექოლოგიების ამოცნობა და ახალი მასალების ძიება დადებით ზეგავლენას ახდენს ბავშვების სამომავლო განვითარებისთვის, თუმცა აქაც ზომიერებაა საჭირო, რადგანაც ტექნიკის (ტელეფონის, კომპიტერის, პლანშეტის) ხშირი გამოყენებით ზიანდება ბავშვის მხედველობა, გონება, ფსიქოლოგია. შეგვიძლია შევუქმნათ ისეთი პირობები, სადაც ბავშვს ექნება მთავარი როლი თამაშებში, ღონისძიებებსა და სხვადასხვა აქტიობებში, რითაც ჩვენს ბავშვებს ავარიდებთ "მავნე ტექნოლოგიებს " და ფართო ასპარეზს მივსცემთ ჯანსაღ გარემოს.

გვახსოვდეს, რომ ბავშვები ჩვენი მომავალია, ხოლო განათლებული ახალი თაობა ჩვენი სიამაყე და ნათელიმომავალია.

სახალისო გვერდი



იპოვეთ სურათებს შორის 7 განსხვავება

